

# პროგრამის სახელწოდება

ხე-ტყის დამზადება (Wood Processing)



პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ასაკი-18 წელი

აპლიკანტა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

**პროგრამის მიზნები :** შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრი, რომელიც უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში ხე-ტყის დამზადების სამუშაოების შესრულებას; შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა

**პროგრამის მოკლე აღწერა:** პროფესიული მომზადების პროგრამა „ხე-ტყის დამზადება“, შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით „აჭარის სატყეო სააგენტოს“ სპეციალისტების ჩართულობით. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/პროფესიული უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, რომელიც მოიცავს 190 საკონტაქტო საათს. სწავლება ხორციელდება სასწავლო დაწესებულებაში და სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ბაზაზე პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს უსაფრთხოდ განახორციელოს ტყეში ხე-ტყის დამზადების სამუშაოების შესრულება: ხის ჭრის პროცესის მომზადება; ხის მოჭრა; მოჭრილი ხის გაწმენდა; დამზადებული ხე-ტყის დახარისხება; ჭრის ნარჩენების განთავსება; დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა; სატრანსპორტო საშუალებებზე ხე-ტყის დატვირთვა; სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას; პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

**სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)**

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა;
- საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების
- ხის ჭრის პროცესის მომზადება
- ხის მოჭრა;
- მოჭრილი ხის გაწმენდა;
- დამზადებული ხე-ტყის დახარისხება;
- ჭრის ნარჩენების განთავსება;
- დახასიათება;
- დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა;
- .სატრანსპორტო საშუალებებზე ხე-ტყის დატვირთვა;
- სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას;

**პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია:** „აჭარის სატყეო სააგენტო“

**დასაქმების სფერო:** მეტყევეობა (ვიწრო სფერო)

